საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/ 250

ქ. ბათუმი 24 ოქტომბერი, 2022 წ.

ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეულ პერსონალთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს შრომის კოდექსის, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილების, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით რექტორის ბრძანებით მოწვეულ პერსონალთან დასადები შრომითი ხელშეკრულების თანდართული ფორმა (**დანართი 1**).
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად დაიდოს შრომითი ხელშეკრულებები **მასწავლებელთა პერსონალთან** (მასწავლებელი - დოქტორის ხარისხის არმქონე პირი; უფროსი მასწავლებელი - დოქტორის ხარისხის მქონე პირი) და **სხვა** ქალაქში მდებარე **საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოწვეულ პერსონალთან.**
3. <u>ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი</u> ,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეულ პირებთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" <u>ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N01-08/129 ბრძანება.</u>
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - იურიდიული ცნობარი/საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები).
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეულ პერსონალთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 24 ოქტომბრის N01-02/ 250 ბრძანების

დანართი N1

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- ----*2022 წ.*

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში - ,,ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის ---------- მიერ და (შემდეგში - „**დამსაქმებელი**“) და მეორე მხრივ _____ (შემდეგში „**დასაქმებული**“) ვაფორმებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. ხელშეკრულების საგანია დამსაქმებელსა და უნივერსიტეტის შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით რექტორის ბრძანებით მოწვეულ დასაქმებულს შორის **შრომითი** ურთიერთობის **(შემდეგში ,,შრომითი საქმიანობა“)** დარეგულირება.

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ბსუ-ს საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დაწყებამდე შესაბამისი სასწავლო წლისათვის/სემესტრისათვის დასაქმებულის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე, <u>რომელიც განიხილება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების ნაწილად</u> (რექტორის ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა არ საჭიროებს ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას, თუმცა მხარეები არ არის შეზღუდული დააზუსტონ და დააკონკრეტონ დასაქმებულის მიერ სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები).

1.3. საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ რექტორის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) მოწვეული პირის **სტატუსი** (მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი/სპეციალისტი/ემერიტუსი/ბსუ-ში დაკავებული თანამდებობა/მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი/წევრ-კორესპონდენტი; სხვა **საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულების დასახელება,** საიდანაც მოწვეულია დასაქმებული);

ბ) დასაქმებულის მიერ განსახორციელებელი შესაბამისი სასწავლო კურსი (კრედიტებში)/სამეცნიერო კომპონენტი;

გ) პედაგოგიური საქმიანობის/სამუშაო დატვირთვის სახე (ლექცია/ჯგუფში მუშაობა/ლაბორატორიული/პრაქტიკული/კურაცია/სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა და სხვა);

დ) სამუშაო დატვირთვის მოცულობა საათებში;

ე) სამუშაო დატვირთვის შესრულების ადგილი;

ვ) სამუშაოს შესრულების სემესტრი/სასწავლო კვირები;

ზ) საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

1.4.. დამსაქმებლის მიერ დადგენილი **შინაგანაწესი** მიიჩნევა წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილად, რომელსაც გაეცნო დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე.
1.5. სამუშაოს პირობები, რომლებიც წინამდებარე მუხლში აღნიშნული სამართლებრივი აქტებით არ არის გათვალისწინებული, წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

2. სამუშაო ადგილი
2.1. დასაქმებულის ძირითადი სამუშაო ადგილია: ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32 (ბსუ-ს იურიდიულ მისამართზე მდებარე შენობა), ასევე შესაბამისი სასწავლო წლისათვის დასაქმებულის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ რექტორის ბრძანებაში აღნიშნული სამუშაოს შესრულების ადგილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგალითად: სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელების ადგილი, ასევე კლინიკა/ლაბორატორია - დამსაქმებელსა და შესაბამის კლინიკასთან/დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების შესაბამისად).
2.2. შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია შეიცვალოს დასაქმებულის სამუშაო ადგილი ან განისაზღვროს დასაქმებულის მიერ სამუშაოს დისტანციურად შესრულების შესაძლებლობა.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. დასაქმებული აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის გაცნობილია ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს შინაგანაწესს (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტს, შესაბამისი ფაკულტეტის დებულებას, ბსუ-ში აკადემიური საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge და **იღებს ვალდებულებას:**
ა) სამუშაო შეასრულოს პირადად, საკუთარი ცოდნის, გამოცდილებისა და უნარების ფარგლებში, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის აქტების, პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოთა აქტებისა და სასწავლო პროცესის ცხრილების შესაბამისად;
ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იზრუნოს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის შემდგომ სრულყოფა-გაუმჯობესებაზე და სასწავლო პროცესში გამოიყენოს სამუშაო ადგილზე არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები;
გ) დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებელს ან მესამე პირს;
დ) გაუფრთხილდეს დამსაქმებლის პრესტიჟსა და ავტორიტეტს, დამსაქმებლის ქონებას, დაიცვას წესრიგი თავის სამუშაო ადგილას და უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით მისთვის გადაცემული ქონების, საბუთების, ინფორმაციის დაცვა მესამე პირებისაგან (მათ შორის სხვა დასაქმებულთაგან, თუ მათ არ ევალებათ ერთობლივად სამუშაოს შესრულება) და მათი უსაფრთხოდ შენახვა;

ე) დამსაქმებლის მითითებით მონაწილეობა მიიღოს/დაესწროს კვალიფიკაციის ამაღლების/პროფესიული განვითარების ღონისძიებას (ტრეინინგს, სემინარს და სხვა სახის შეკრებას), რომელიც ორგანიზებული იქნება დამსაქმებელის მიერ;
ვ) რეგულარულად გაეცნოს ბსუ-ს წესდებაში, შინაგანაწესში, ეთიკის კოდექსში, აკადემიური პერსონალის შრომითი საქმიანობისა და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების ან/და ბსუ-ს პორტალის ან სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე, ან/და დამსაქმებელთან საქმიანი/სამსახურებრივი კომუნიკაციისათვის დასაქმებულის მიერ განსაზღვრულ სხვა ელექტრონულ ფოსტაზე, ასევე განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge;
ზ) კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და დამსაქმებლის მოთხოვნით წარმოადგინოს ნასამართლობის ცნობა, რაც გათვალისწინებულია ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილებით.

3.2. დასაქმებული უფლებამოსილია:
ა) დამსაქმებლისაგან მიიღოს სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დოკუმენტაცია, ინფორმაცია, მხარდაჭერა და მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, შინაგანაწესისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა, შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა და დაცვა;
ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის (სილაბუსის) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
გ) ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი ან/და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი პირობებითა და ვადით;
დ) დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, რაც დაკავშირებულია წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებასთან.
ე) მიიღოს დამსაქმებლისაგან უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება.

3.3. დამსაქმებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს დასაქმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომითი მოვალეობების შესრულებისთვის სათანადო სამუშაო პირობებით და ხელი შეუწყოს მას, საქართველოს კანონმდებლობით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით დასაქმებულისათვის განსაზღვრული უფლებების რეალიზაციაში;
ბ) უზრუნველყოს დასაქმებულის აკადემიური თავისუფლება, რათა ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის (სილაბუსის) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

გ) უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოთი:
დ) ხელი შეუწყოს დასაქმებულის პროფესიულ განვითარებას/კვალიფიკაციის ამაღლებას.
ე) მიიღოს ზომები უნივერსიტეტში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის, მათ შორის, დისკრიმინაციის აკრძალვის უზრუნველსაყოფად;
ვ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დროულად აანაზღაუროს დასაქმებულის მიერ გაწეული შრომა.

3.4. დამსაქმებელი უფლებამოსილია:
<u>ა)</u> მოითხოვოს დასაქმებულისაგან მასზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და სხვა სამართლებრივი აქტების და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად შესრულება, ასევე დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა;
ბ) შეაფასოს დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაო ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის ან სხვა სამართლებრივი აქტის ან/და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების შესაბამისად;
გ) დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე (მოიპოვოს დასაქმებულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან ან/და გადაამოწმოს დასაქმებულის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე; დაამუშაოს და გამოიყენოს დასაქმებულის მიერ გადმოცემული პირადი მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის მიზნებისათვის);

4. შრომის ანაზღაურება
4.1. ა
მ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საათობრივი შრომის ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) განისაზღვრება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით (----------), რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისთვის გაცნობილია დასაქმებული (ტარიფების ცვლილება არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას).
დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე (მზადდება დასაქმებულის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების, წინამდებარე ხელშეკრულებისა და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო საათების შესახებ ბსუ-ს უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ბარათის (აქტის) საფუძველზე).
4.2. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების დაქვითვით (თანხის ჩარიცხვა ხორციელდება დასაქმებულის მიერ მოწოდებულ საბანკო რეკვიზიტებზე).

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დასკვნითი დებულებები
5.1. ხელშეკრულება ძალაშია --------- წლის ---------- დან და მოქმედებს ----------მდე.
5.2. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

ბ) დასაქმებულის განცხადება (წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი სასწავლოს წლის/სემესტრის/პროგრამის კომპონენტის განხორციელების დაწყებამდე ერთი თვით ადრე);
გ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა;
დ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა;
5.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.
5.4. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დასაქმებული ვალდებულია დაუბრუნოს დამსაქმებელს მისთვის გადაცემული დამსაქმებლის ქონება, ასევე სამუშაო პროცესში შექმნილი, მოპოვებული თუ დამუშავებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
5.5. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორ) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. თითოეულ მხარეს გადაეცემა მეორე მხარის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ეგზემპლიარი.
5.6. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
5.7. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავა გადაწყდება მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით, რაც გულისხმობს მხარეთ შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.
5.8. დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ანიჭებს დამსაქმებელს უფლებას დაამუშაოს, შეინახოს და საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მესამე პირებს დასაქმებულის პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
5.9. დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის არ არის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება და ანიჭებს დამსაქმებელს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების უფლებას.

5. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

„დამსაქმებელი“	„დასაქმებული“
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ადმინისტრაციის მისამართი:	სახელი, გვარი -
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32	პირადი ნომერი -
	რეგისტრ. მის.: ----------
	ფაქტ.საცხ.ადგ: ----------
	ელექტ. ფოსტ. მისამარ. ----------

უნივერსიტეტის რექტორი	მობილური ----------
_____	
	საბანკო რეკვიზიტი: ----------

(ხელმოწერა)	(დასაქმებულის ხელმოწერა)